

მარჯანის კოლონიებს სმენის უნარი აღმოუჩნდათ



ვუდს–ხოუდსის ოკეანოგრაფიული ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს – მარჯანის უჯრედებს იმ ადგილში ურჩევნიათ დასახლება, სადაც რიფების ხმა ისმის. რამაც მეცნიერებში ვარაუდი დაბადა, რომ მარჯანს სმენის უნარი გააჩინა.

ბოლოდ დროს მსოფლიო მასშტაბით მარჯანის კოლონიების რაოდენობა მკვეთრად მცირდება და მეცნიერები იმის დადგენას ცდილობენ, თუ რა მიზეზით ირჩევენ საცხოვრებლად ამა თუ იმ ადგილს.

უნივერსიტეტის კვლევაში ცხადყო, რომ მარჯანის პოლიპები მგრძობობიარე არიან ტემპერატურის, სინათლის და ქიმიური ნივთიერებების მიმართ, რომლებიც ოკეანეში წარმოიშობა. ახლა კი დადგინდა, რომ მათ სმენის უნარიც გააჩნიათ. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მარჯანის უჯრედების უმეტესობა იქ სახლდება, სადაც კოლონიის ხმაური მეტად ისმი. ზოგადად, მარჯანის რიფები გამოირჩევიან მრავალფერი დაბადსიხშირიანი ბგერების გამოცემით, ხოლო მათ უნაყოფო მონაკვეთებზე კი სრული სიჩუმე სუფევს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ხელოვნურად შექმნილი რიფების ხმის გამოყენებით მარჯანს უდაბურ ადგილებზე აიძულებენ დასახლებას.